ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით ჭელიძის

ანგარიში 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის ნოემბრის ჩათვლით

მოგახსენებთ, რომ ჩემი უფლებამოსილების ცნობის დღიდან ვარ ჩართული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ წევრი. ასევე ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიათა წევრი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის.

ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;

დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლი ;

მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

2020 ნოემბრიდან - დღემდე ჩატარდა ფრაქციის 16 სხდომა რომელზეც წევრებმა იმსჯელეს რიგ საკითხებზე. ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, ასევე მისი ცვლილების პროექტი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა გარემოს დაცვის სფეროში, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვის შესახებ, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის მოსმენა, „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის, ე.წ. სამშენებლო ამნისტიის განხილვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის მოსმენა, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კამპანიის მიმოხილვა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის სახდომაზე განხილულ საკითხებზე ფრაქციათა პოზიციების შეჯერება და სხვა ფრაქციის კომპეტენციაში შემავალი საკითხები.

რაც შეეხება კომისიებს, საანგარიშო პერიოდში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 21 კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული მნიშნელოვანი 308 საკითხი.

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში 2020 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით ჩატარებულ იქნა 25 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტი ს#39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 541 ცვლილება, დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 14 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 4 ზონალურ ცვლილებას .

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 159 პროექტი (აქედან უარი ეთქვა 1 პროექტს, გადაიდო 1 პროექტი)

კომისიის სხდომაზე ასევე განხილულ/შესწავლილ იქნება სხვა დამატებითი ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების 124 პროექტი.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიას, ამ საანგარიშო პერიოდში გაიმართა **14** სხდომა, სადაც განხილულ იქნა სხვადასხვა აუცილებელი საკითხები კერძოდ ჯამში 23 საკითხი, რომელთა განხილვა მიმდინარეობდა აქტიურად და თითოეული კომისიის წევრი აქტიურად იყო ჩართული განხილვა-მსჯელობაში.

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის № 51 - 104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ’’ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კვინიკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ჯღარკავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბექა მიქაუტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 5. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 – 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

5.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;

6. ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი’’-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი“-ში, კორონა ვირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქების შემდგომ გახსნითი სამუშაოების, მიმდინარე სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა-გასვლითი სხდომა;

7. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ ინფორმაცია;

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების

განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

9. შპს ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"-ს მიმდინარე სასწავლო და სამუშაო პროცესის გაცნობა, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა. 2. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა-გასვლითი სხდომა;

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; 2. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი; 3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

12.„ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ;

13.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების: ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.17.862); ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 7449 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.527); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 5927 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.518); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 7898 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.519); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 13734 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.520); ქ. თბილისში, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ 10000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N72.16.20.522) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საფუძველი: 03.09.2021; N12-032124639-03); 2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

14.ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ჩაატარა ბოლო ერთი წლის განმავლობაში 56 კომისიის სხდომა. შედგა შესაბამისი კომისიის ოქმები, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი თითოეული საკითხის მიმდინარეობა და შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელსაც კომისია იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისია სხდომაზე საშუალოდ განიხილავდა 60-80 საკითხს კანონის და სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად. ნიშანდობლივია, რომ კომისიის ყველა დამსწრე წევრი აქტიურად იყო ჩართული თითოეული კომისიაზე გამოსული საკითხის განხილვაში და მის გადაწყვეტაში.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული ეპიდ ვითარებისა, ჩემი წარმომადგენლობა (ბიურო) მუშაობდა სრული დატვირთვით, დაწესებული რეგულაციების მაქსიმალური დაცვით.

ბიუროში ინტენსიურად მიმდინარეობდა ძველი ნაძალადევი-ლოტკინის მოსახლეობის პრობლემების განხილვა. კვირაში ერთი დღე, კერძოდ ოთხშაბათი, გამოყოფილია მოქალაქეთა მიღებისთვის, თუმცა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, წარმომადგენლობაში დასაქმებული თანამშრომლები აქტიურად ახორციელებდნენ მოსულ მოქალაქეთა დახმარება-კონსულტაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეებს ეწევათ შუამდგომლობები შესაბამის საჯარო უწყებებში.

2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის ოქტომბრის ჩათვლით, შეხვედრაზე მოსული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს **595** ადამიანს მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი ეპიდ ვითარებისა. აღსანიშნავია, რომ მიღება ტარდებოდა კოვიდ რეგულაციების მაქსიმალური დაცვით.

წარმოგიდგენთ, წარმომადგენლობაში მოსულ მოქალაქეთა პრობლემატური საკითხების საშუალო სტატისტიკას:

შეხვედრის დღეს მოსული მოსახლეობის პრობლემების საშუალო სტატისტიკა		
№	**საკითხი**	**რაოდენობა**
1	სოციალური	441
2	ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობა	98
3	დასაქმება	21

მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა კი მოდიოდა სხვადასხვა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ისინი ითხოვდნენ ზოგად რეკომენდაციას, შუამდგომლობას და სხვა დახმარებებს. ხოლო, რაც შეეხება იურიდიულ-სამართლებრივ საკითხზე მოსულ მოქალაქეებს მათ გაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია.

ამ საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში სისტემატიურად მიმდინარეობდ აგანცხადებების შემოსვლა, მათზე რეაგირების მოხდება, რაც გულისხმობს შუამდგომლობის გაწევას, რომლებიც ეხება ფინანსურ დახმარებას, ოპერაციის, მკურნალობის, რეაბილიტაციის და მედიკამენტის დაფინანსებას, საშენი მასალის გამოყოფას, კეთილმოწყობას და სხვ. მათგან უმეტესი დაკმაყოფილებულია, აღსანიშნავია, რომ კორესპონდენცია იგზავნებოდა სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სტრუქტურებში. ჯამში კორესპონდეცია შეადგენს 353 წერილს.

მოსული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი გადამისამართდა შესაბამის სტრუქტურებში. დანარჩენებს კი გაეწიათ კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მივდივართ და ვეცნობით თითოეული მოქალაქის პრობლემას.

ჩვენი ხელშეწყობით 43-ე ბაგა-ბაღის ადგილას იგეგმება ახალი ბაღის მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მოხდა აღნიშნული ბაგა-ბაღის, როგორც ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძველი ნაძალადევი-ლოტკინის სამაჟორიტაროში აშენდება კიდევ ერთი ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით მოწყობილი ბაგა-ბაღი, რომლიც იზრუნებს ჩვენი აღსაზრდელების მომავალზე.

წლის განმავლობაში ვცდილობდით შევხვედროდით ხანდაზმულ ადამიანებს და ვეტერნებს, ვინაიდან დასაფასებელია მათი ღვაწლი ქვეყნისა და სამშობლოს მიმართ, ამავე დროს ჩვენთვის მნიშნელოვანია მათი კეთილდღეობა და ჯანმრთელობა. მათი პრობლემების მოსმენა და შესაძლებლობის ფარგლებში მათი მოგვარება ჩვენი წარმომადგენლობისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან საქმეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი წარმოამდგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, შესაბამისად წარმოგიდგენთ ბოლო წლის განმავლობაში ნაძალადევის რაიონის მიერ განხორციელებულ პროექტების დასახელებას ღირებულებისა და ლოკაციის მითითებით, რომელების განხორციელდა ჩვენი შამდგომლობით.

- გზების მოწყობა-რეაბილიტაცია, მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება:

N	ობიექტის მისამართი	ფართობი-კვ.მ	ღირებულება (ლარი)
1	მარიამ ანჩაბაძე-დადიანის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	3 860,00	223947,41
2	ც.დადიანის N34 მიმდებარედ შიდა ეზოებში	484,40	13968,14
3	მაჩხანის ქუჩაზე წერონისის ქუჩის მიმდებარედ	246,00	15192,85
4	ნიკოლოზ კახიანის ქ. N21-ის მიმდებარედ გზის მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები.	375,20	16315,90
5	მაჩხაანის ქუჩაზე ლაითურის ქუჩის მიმდებარედ	375,90	23230,48
6	სააკაძის ქ. N2-დან N41ა-ს ჩათვლით;	359,50	10112,89
7	ცოტნე დადიანის ქ. N34, კორპუსი N17-ისა და N18-ის მიმდებარედ;	1 207,60	61967,66
8	ო.კონსკაიას N2-მიმდებარედ	596,00	33129,04
9	ერწოს ქუჩა N4, კორპ. N1-ის მიმდებარე ეზოში გზის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები.	1010,00	46300,20

- იერსახის და კიბეების რეაბილიტაცია:

N	ქუჩების დასახელება	ჯამური თანხა
1	ნიკო მარის I ჩიხი N8-ის მიმდებარედ ლითონის კონსტრუქციის მოაჯირების მოწყობა უსაფრთხოების მიზნით.	1 620,91
2	მანაგაძის ქ. N5-ის მიმდებარედ დაზიანებული ადგილების ბეტონის საფარით შევსების მიმდინარე შეკეთების (მომსახურების) სამუშაოები.	3879,33
3	კახიანის ქ. N18-ის მიმდებარედ ძლიერ დაზიანებული ადგილების ბეტონის საფარით შევსების (მომსახურების) სამუშაოები.	5088,26
4	ლისაშვილის ქ. N3-ის მიმდებარედ შესახვევი, დაზიანებული ადგილების არმირებული ბეტონის საფარით მიმდინარე შეკეთების (მომსახურების) სამუშაოები.	23 017,99
5	დაზიანებული ადგილების არმირებული ბეტონის საფარით მიმდინარე შეკეთების (მომსახურების) სამუშაოები შემდეგ მისამართზე: ახტალის ქ. N1-ის მიმდებარედ	11 883,93
6	ჯანელიძის ქ. N51 მიმდებარედ მოაჯირების მოწყობის სამუშაოები	2197,56

- საყრდენი კედლების მშენებლობა:

N	მისამართი	თანხა
1	ასათიანის(სტურუა) #9	12951,39

- გარე გამოყენების ფიტნეს-ტრენაჟორების მოწყობა:

N	მისამართი	თანხა
1	კიშინიოვის ქ.N24	27 223,50
2	სამღერეთის ქ.N3	27 223,50

- სკვერებისა და დენდროლოგიის მოწყობა:

N	მისამართი	თანხა
1	რ. ურიდიას ქუჩის გზაგამყოფის მოწყობა	**134 793,90**

ამასთანავე, ძველი ნაძალადევი - ლოტკინის სამაჟორიტაროში მოეწყო 39 საპარკე სკამი, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 13 618,80 ლარი.

მოქალაქეთა სოციალური და სხვა პრობლემების პარალელურად, მაჟორიტარის წარმომადგენლობაში განიხილება ნაძალადევის რაიონის კეთილმოწყობის და სხვა საკითხები.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წარმომადგენლობა მჭიდროდ თანამშრომლობს ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან, ამავე რაიონის გამგეობის უბნის სამსახურთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.